PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯი „იბერიის“ „მეხილეობა-მეჩაიეობის" საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირაკლი სალუქვაძე

წევრები:

ქეთევან გელაშვილი

(თბილისი, 2020)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „იბერია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 12 ივნისის №464678 ოქმი), სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 სექტემბრის N880862 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დოკუმენტების შესწავლის გზით სსიპ-კოლეჯ "იბერიის" „მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება და ასევე დაწესებულების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ანალიზი.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შესწავლილი მასალების საფუძველზე დამატებით მოითხოვა მტკიცებულებები. სსიპ-კოლეჯმა „იბერიამ“ 2020 წლის 30 სექტემბერს ცენტრში N 918583 წერილით წარადგინა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც გამოეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს. წინა დისტანციური წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მეხილეობა-მეჩაიეობა მე-2 ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.3 და 2.4 კომპონენტების მიხედვით და 1-ლი სტანდარტის რეკომენდაციის შესრულების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების ზემოაღნიშნული პროგრამა შეფასდა როგორც „სრული შესაბამისი“.

7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ანალიზი:

შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულებამ წინა წარმოების ფარგლებში დაფიქსირებული უზუსტობის აღმოფხვრისა და ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის ნაცვლად შეიმუშავა სტანდარტის მოთხოვნებთან თავსებადი 2020-2026 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნების, ამოცანების, შესრულების ინდიკატორების, პასუხისმგებელი და ჩართული პირების ველებს ვადების გათვალიწინებით. აღნიშნული გეგმის შემუშავებას წინ უძღვის ე.წ. SWOT ანალიზი, რომლის გამოყენებითაც კოლეჯმა შეისწავლა არსებული სიტუაცია, შეაფასა დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე გაანალიზა შესაძლებლობები და საფრთხეები. ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ძლიერი მხარეების გამოყენებით ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი ამოცანები, რომლებიც ორიენტირებულია სუსტი მხარეების გაძლიერებასა და შემდგომ განვითარებაზე.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილება არ ფიქსირდება.

VII. „მეხილეობა მეჩაიეობის“ პროგრამის ფარგლებში 2.3 და 2.4 კომპონენტებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ინდიკატორი N 2.4.1.4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

– *დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული მობილობის პროცედურები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 სექტემბრის 244-ე დადგენილებასთან, შიდა მობილობის შემთხვევაში დაფინანსების თაობაზე.*

<u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია - სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის N189 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლი „მობილობის განხორციელების შესახებ“.</u>

ინდიკატორი N 2.4.2.1

– *შეფასების გამჭვირვალობისთვის, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია რეგულაციებში ასახოს პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების პირობების წინასწარი გაცნობის მექანიზმები.*

<u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია - სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის N189 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი.</u>

– *ვინაიდან ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება სწავლების ეფექტური სისტემის გამო განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.*

<u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია - სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის N189 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 21-ე მუხლი „ვერიფიკაციის მექანიზმები“.</u>

– *ვინაიდან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრების წესი, არ მოიცავს საკითხის არა კომისიურად განხილვის შემდგომ პროცედურებს (გადაწყვეტილების მიღების სავარაუდო საფუძველი, პროფესიული სტუდენტისთვის გადაწყვეტილების გაცნობის ვადა და ფორმა) დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ნათლად გაიწეროს აღნიშნული შემთხვევის ამსახველი პროცესი.*

<u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია - სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის N189 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 26-ე მუხლი „პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების წესი“ ითვალისწინებს საკითხის მხოლოდ კომისიური წესით განხილვას.</u>

ინდიკატორი N 2.4.2.4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.

<u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია - სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის N189 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-19 მუხლის („პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა“) მე-3 პუნქტი.</u>

VIII. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

IX. რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.4.2.3

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 თებერვლის N58 ბრძანება და სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის N189 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლებშიც განსხვავებული პირებია პასუხისმგებელი შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების დაცვასა და შენახვაზე.

ინდიკატორი N 2.4.1.4

კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციებიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ინდივიდუალური საჭიროებების ნაწილში ითვალისწინებდეს სხვა შემთხვევებსაც გარდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისა და რეგულაციაში აისახოს აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XI. ინფორმაცია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა-მეჩაიეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N43-17.02.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N12
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N12. (დუალური) 15 პროფესიული სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eusoft Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებულია "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია", რომელიც აგებულია PDCA ციკლით გათვალისწინებული ეტაპების მიხედვით, რომლის მე-5 მუხლით განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარების" პროცედურები. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერსებულ მხარეებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას „PDCA" ციკლურ სისტემას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარედ სტუდენტებთან/მსმენელებთან, კურსდამთავრებულებთან და განმახორციელებლებთან ერთად მითითებულია დამსაქმებლები და ითვალისწინებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესების გეგმის შემუშავებასა და შემდგომი რეაგირებისთვის კოლეჯის დირექტორთან წარდგენას. კოლეჯის წარმომადგენლებმა ექსპერტთა მოთხოვნით დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციაში წარმოადგინეს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული დუალური პროგრამის დამსაქმებლის, პრაქტიკის ინსტრუქტორის და სტუდენტების კითხვარები.

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის" მე-6 მუხლის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს და პრაქტიკის ინსტრუქტორს. ცვლილების საჭიროება შესაძლებელია განპირობებული იყოს პროგრამის შეფასების შედეგებით, შესაბამის სტანდარტში ცვლილებით, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით. ამავე წესის ამავე მუხლით ცვლილების შეტანაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებულია "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია";
- წარმოდგენილი კითხვარები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „მეხილეობა-მეჩაიეობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია განმეორებითი შეფასებისთვის დროის შუალედის დაცვით. პროფესიული სტუდენტის კვირეული საშუალო დატვირთვა, პროგრამის კოლეჯში განხორციელების ეტაპზე არ აღემატება 30 საათს. პროგრამით გათვალისწინებული მოდულის წინაპირობები დაცულია. პროგრამაში/სასწავლო გეგმის ცვლილების შესაძლებლობას ითვალისწინებს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N84 ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის" მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

2. სტუდენტთა ინტერესების გასათვალისწინებლად და სხვადასხვა შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასამოქმედებელი მექანიზმები, შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტაციის ჩატარება გაწერილი გრაფიკის მიხედვით.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N84 ბრძანებით დამტკიცებულ „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის“ მე-9 მუხლით განსაზღვრულია სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა შუალედური შეფასების შედეგების გათვალისწინებით (პასუხისმგებელი პირების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში).

დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში არსებული ჩანაწერების საფუძველზე ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯი შეძლებს უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორგანიზება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და ასევე შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირებას.

3. „მეხილეობა-მეჩაიეობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, ხოლო დარგის შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენება განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების შესახებ განმარტავს, რომ აღნიშნული პროცედურა წარიმართება პარტნიორ კომპანიასთან შეთანხმებით. ამავე მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისთვის შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება. ამავე წესის მე-14 მუხლით დარეგულირებულია მობილობის პროცედურები. ამავე წესის მე-15 მუხლით განსაზღვრულია მიღებული განათლების აღიარების პროცედურები, მათ შორის უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მექანიზმები.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N84 ბრძანებით დამტკიცებულ „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის“ მე-9 მუხლის თანახმად, პროფესიული სტუდენტების შუალედური შეფასების შედეგების გათვალისწინებით, პასუხისმგებელი პირების მიერ შესაძლოა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შესახებ.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N60 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია „სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების (საგანმანათლებლო პროგრამის აკომოდაციის ან მოდიფიკაციის) წესი“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ინდივიდუალური საჭიროებების ნაწილში ითვალისწინებდეს სხვა შემთხვევებსაც გარდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისა და რეგულაციაში აისახოს აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცედურები.

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან: 1. ფონდი „აფხაზიტერკონტთან“ არსებული სოციალური საწარმო „აგამა“, 2. შპს „კარტლის აგროსისტემები“, 3. შპს „თ-სულორი“, 4. შპს „ანდიტრი“. ოთხივე პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულება ერთგვაროვანია და გულისხმობს „მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროგრამის განხორციელების პროცესში მხარეთა ერთობლივ უფლება მოვალეობებს: პროგრამის და სასწავლო გეგმის ერთობლივად შემუშავებას, პროფესიული სტუდენტის შეფასების წესისა და პირობების გათვალისწინებას, შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფას. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება კოლეჯის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საწარმოს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლის-ინსტრუქტორის გამოყოფა არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის საწარმოში გამოცხადების აღრიცხვისთვის, მათი სწავლებისა და შეფასებისთვის, სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების დამოწმების მიზნით წარმოებული ჩანაწერების ჟურნალის ყოველკვირეული ზედამხედველობისთვის. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს საჭირო მატერიალური ბაზით უზრუნველყოფას, პროფესიულ სტუდენტებთან ანაზღაურებადი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას, მათ საწარმოში შიდა ტრანსპორტირებასა და უსაფრთხოების დაცვას.

6. პროგრამის სპეციფიკა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული უსაფრთხოების წესების არსებობას/დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძანება №84, 8.04.2020 „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ბრძანება №189, 10.09.2020 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ბრძანება N43 17.02.2020 „მეხილეობა მეჩაიეობის“ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- „მეხილეობა მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასწავლო გეგმა“
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N60 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულია „სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების (საგანმანათლებლო პროგრამის აკომოდაციის ან მოდიფიკაციის) წესი“

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის“ მე-19 და „სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესის“ მე-20 მუხლის თანახმად, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის *(“პროგრამის სახელწოდება; მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი; შესაფასებელი სწავლის შედეგი; შესაფასებელი შესრულების კრიტერიუმები; შეფასების მიმართულება; შეფასების ინსტრუმენტი; შეფასებისათვის განკუთვნილი დრო; შეფასების პროცესის აღწერა (სცენარი დავალებისთვის), დავალება (წერილობითი მოკლე აღწერა), რომლის საშუალებითაც პროფესიული სტუდენტი დაადასტურებს შესაბამისი შესრულების კრიტერიუმებს, შეფასების მტკიცებულება; განმეორებითი შეფასების პროცედურები, შესრულების კრიტერიუმების დადასტურება და დადასტურების თარიღი; შეფასების ინსტრუმენტების ავტორი, ინსტრუმენტის შემთანხმებელი პირები”)* მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შექმნილი შეფასების ინსტრუმენტი შესათანხმებლად წარედგინება ინსტრუმენტის შემთანხმებელ ჯგუფის წევრებს: სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, პროგრამის ხელმღვანელს და დარგის სპეციალისტს.

ამავე წესის 25-ე მუხლით განსაზღვრულია რომელიმე სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში განმეორებითი შეფასების ჩატარების შესაძლებლობა: ა. სხვა მოდულის წინაპირობის შემთხვევაში მოდულზე სწავლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ან ამ მოდულზე სწავლის დასრულებამდე, ბ. თუ კონკრეტული მოდული არ არის წინაპირობა, მისი რომელიმე სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში - პროგრამის დასრულებამდე ერთხელ. კოლეჯის წარმომადგენლებმა დამატებით წარმოადგინეს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული შეფასების სისტემის, უწყისების და ინსტრუმენტების განახლებული ვერსიები.

ზემოთხსენებული წესის 26-ე მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრებას. კოლეჯს გათვალისწინებული აქვს ექსპერტების რეკომენდაცია გასაჩივრების პროცესის დაზუსტების შესახებ და აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს საკითხის მხოლოდ კომისიურად განხილვას. პროფესიული სტუდენტი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომელიც ქმნის სპეციალურ კომისიას (მინიმუმ 3 წევრისგან), რომლის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ კოლეჯის პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისი დარგის მოწვეული ექსპერტი ან სპეციალისტი. ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წამოშობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის N84 ბრძანებით დამტკიცებულ „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის“ მე-6 და მე-7 მუხლით დარეგულირებულია საწარმოს და საწარმოს ინსტრუქტორის უფლება მოვალეობები, მათ შორის პროფესიული სტუდენტების აღრიცხვა, შედეგების მიღწევის დოკუმენტირება, საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობა. ამავე წესის მე-8 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის წარმოების პირობები და მახასიათებლები. აღნიშნული ჟურნალის ინსტრუქტორის დაკვირვების ჩეკლისტის, შუალედური/დასკვნითი შეფასებებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის უწყისების ფორმების შედგენის და პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორების მიერ პროფესიულ სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობის რეგულაციების შემუშავების შესახებ შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხების შესრულება დასტურდება კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ამავე წესის მე-9 მუხლით დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტების შუალედური შეფასების წესი და პირობები, რომლის მიხედვითაც შუალედური შეფასება არ შეიძლება გახდეს სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი. ასევე განსაზღვრულია შუალედური შეფასების შედეგების გათვალისწინებით, პასუხისმგებელი პირების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შესახებ.

ამავე წესის მე-10 მუხლით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თავისებურებები და დეტალური პროცედურები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 21-ე მუხლი „ვერიფიკაციის მექანიზმების“ შესახებ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, ანუ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ამოწმებს არის თუ არა შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ხსენებული კრიტერიუმები აღნიშნულ მუხლში განმარტებულია დეტალურად და აღწერილია ვერიფიკაციის პირველი (შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია) და მეორე (მტკიცებულებების ვერიფიკაცია) ეტაპები. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა.

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 თებერვლის N58 ბრძანებით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგამოცდო კომისიის ვალდებულებაა შეფასების მტკიცებულებების დაცვა და შენახვა 3 წლის ვადით, ხოლო უწყისების მუდმივად. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 22-ე მუხლი „შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესის“ შესაბამისად სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისების მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში. ამავე მუხლის მიხედვით ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი უზრუნველყოფს შეფასების მტკიცებულებების დაცვასა და შენახვას 3 წლის ვადით, ხოლო უწყისების მუდმივად. *დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია აღნიშნული რეგულაციების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.*

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის და პროგრამის ძირითადი დოკუმენტის თანახმად, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ორგვარია: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმსაზღვრელი შეფასების შედეგების გაცნობის მექანიზმები აღწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 თებერვლის N58 ბრძანების მე-8 პუნქტით, რომლის თანახმად მოდულის განმახორციელებელი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგის შეფასებას, რასაც პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ ხელმოწერით. შედეგები ფიქსირდება შეფასების უწყისში და შემდგომი ანალიზისთვის გადაეცემა სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს. განმავითარებელი შეფასების ჩატარების ფორმას/ინტენსივობის და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების შესახებ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით და ითვალისწინებს მასწავლებლის ვალდებულებას როგორც აღნიშნული საკითხის ორგანიზების თაობაზე, ასევე შეფასების ინსტრუმენტში შესაბამისი ჩანაწერის არსებობას.

ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში არსებული ჩანაწერი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენებას მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძანება №189, 10.09.2020 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ბრძანება №84, 8.04.2020 „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური სწავლებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“
- ბრძანება №58, 26.02.2020

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

26.10.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------